

„ვამტკიცებ“

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა
კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის
სკოლა-პანსიონის დირექტორი:
ბრძანება №138/2; 30 სექტემბერი, 2016 წელი

**ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა კეთილმსახური მეფე თამარის
სახელობის სკოლა-პანსიონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის
სასწავლო პროცესის
მარეგულირებელი წესი**

(პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის,
საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების, მობილობისა და
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის/აღიარების წესები)

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. მარეგულირებელი წესის მოქმედების სფერო

წინამდებარე მარეგულირებელი წესი ახდენს სკოლა-პანსიონის პროფესიული განათლების სასწავლო პროცესის რეგულირებას, კერძოდ - სტუდენტის სტატუსის მინიჭების, გადაყვანის, ჩარიცხვის, გარიცხული/ამორიცხული სტუდენტის აღდგენის, სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის, შეცვლის ან/და გაუქმების, განათლების აღიარების, დამატებითი სემესტრის გავლის, გამოცდების ჩატარების რეგულირებას;

სკოლა-პანსიონი შინაგანაწესის შესაბამისად ახორციელებს თექის ხელოსნის, მემინანქრის, ხის მხატვრული დამუშავებისა და სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

წინამდებარე დებულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება იხილეთ სკოლა-პანსიონის ნორმატიულ აქტებსა და სხვა დოკუმენტებში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებით ლექსიკონში.

მუხლი 3. სტუდენტის სტატუსის მოპოვება

სკოლა-პანსიონში სტუდენტის სტატუსის მოპოვების მსურველმა აუცილებელია გაიაროს რეგისტრაცია.

1. თექის ხელოსანის, მემინანქრის, ხის მხატვრული დამუშავებისა და სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების საფეხურზე ჩასარიცხად სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია საბაზო ან/და სრული ზოგადი განათლება, რაც დასტურდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესიტ გაცემული შესაბამისი ატესტატით;

2. თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების საფეხურზე ჩარიცხვის თანამდევია წერილობითი ხელშეკრულების გაფორმება სტუდენტსა და სკოლა-პანსიონს შორის;
3. ჩარიცხული სტუდენტის რეგისტრაციისთვის სტუდენტის მიერ წარმოსადგენია შემდეგი დოკუმენტაცია:
 - სტუდენტის განცხადება პროფესიული პროგრამის მითითებით;
 - საბაზო ან/და საშუალო (სრული ზოგადი) განათლების ატესტატი (დედანი დამოწმებული ნოტარიული წესით);
 - პირადობის მოწმობის ასლი;
 - თანხის გადახდის ქვითარი (თვითდაფინანსებით თუ თანადაფინანსებით);
 - ორი ფერადი ფოტოსურათი 3X4 და ელექტრონული ვერსია;
 - საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულება გაფორმებული სტუდენტსა და სკოლა-პანსიონს შორის;
 - სტუდენტის ჩარიცხვის ბრძანების ამონაწერი.

მუხლი 4. გადაყვანის წესით ჩარიცხვა

1. გადაყვანის წესით ჩარიცხვა ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობის განსაზღვრის საფუძველზე, აღიარებული კრედიტების შესაბამის საფეხურზე ჩარიცხვით.

მუხლი 5. გარიცხული/ამორიცხული სტუდენტის აღდგენის წესით ჩარიცხვა

1. გარიცხული/ამორიცხული სტუდენტის აღდგენის ერთ-ერთი წინაპირობაა სკოლა-პანსიონის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი/ბრძანება;
2. გარიცხული/ამორიცხული სტუდენტის აღდგენა განხორციელდება განცხადების შემოტანიდან 10 დღის განმავლობაში.

მუხლი 6. სტუდენტის მიერ კრედიტების მოპოვების წესი

1. თითოეული საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების პერიოდი განსაზღვრულია შესაბამის პროფესიული საგანმანათლებლო რპოგრამაში;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მესამე საფეხურზე კრედიტების დასაშვები ოდენობა შემდეგნაირად ნაწილდება:
 - ა) ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტი – მესამე საფეხური – 60 კრედიტი;
 - ბ) მემინანქრე – მესამე საფეხური – 30 კრედიტი;
 - გ) სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის – მესამე საფეხური – 60 კრედიტი;
 - დ) თექის ხელოსანი – მესამე საფეხური – 30 კრედიტი;
3. სტუდენტს სწავლების პერიოდში შეუძლია დააგროვოს დამატებით 10 კრედიტი.

თავი II. სტუდენტის უფლება-მოვალეობები, სტატუსის შეჩერება, შეწყვეტა

მუხლი 7. სტუდენტის უფლება-მოვალეობები

1. სკოლა-პანსიონის სტუდენტს უფლება აქვს:
 - ა) მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება;
 - ბ) კრედიტის მოსაპოვებლად დამატებით მოისმინოს ერთი და იგივე საგანმანათლებლო პროგრამა;
 - გ) ისარგებლოს სკოლა-პანსიონის საგანმანათლებლო პროგრამისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო, სახელობო, სახელოვნებო და სხვა საშუალებებით;
 - დ) მიიღოს ინფორმაცია სკოლა-პანსიონში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ და მოითხოვოს პროფესიული სასწავლო-საფეხურის შესაბამისი სილაბუსი;
 - ე) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება, გაასაჩივროს არასასურველი საგამოცდო შედეგები;
 - ვ) მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია უფლებამოსილი პირისგან საგანმანათლებლო პროგრამებით სასწავლო დისციპლინის, გამოცდების ჩატარების ვადებისა და ფორმატის შესახებ;
 - ზ) სტუდენტს შეუძლია შეიცვალოს სპეციალობა, განსხვავებულ საგნებში კრედიტების მოპოვების უფლებით, მარეგულირებელი წესით გათვალისწინებული დამატებითი კრედიტების მოპოვების შესაბამისად;
2. სტუდენტი ვალდებულია:
 - ა) გაეცნოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს;
 - ბ) დაიცვას სკოლა-პანსიონის შინაგანაწესი და შეასრულოს სკოლა-პანსიონთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები;
 - გ) გადაიხადოს საგანმანათლებლო პროგრამის საფასური სკოლა-პანსიონის მიერ დადგენილ ვადებში;
 - დ) დაიცვას ეთიკის კოდექსი;
 - ე) გაუფრთხილდეს სკოლა-პანსიონის ქონებას;
3. სტუდენტს ეკრძალება სასწავლო პროცესის არასაპატიო მიზეზებით გაცდენა და გამოცდაზე გამოუცხადებლობა.

მუხლი 8. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს უწყვეტი განათლებით საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სტუდენტის სტატუსის შეჩერება ნიშნავს სკოლა-პანსიონსა და სტუდენტს შორის უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან დროებით გათავისუფლებას, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე;
2. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:
 - ა) სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა კანონიერ ძალაში შესვლამდე;
 - ბ) ავადმყოფობა, თუ დოკუმენტურად დასტურდება სტუდენტის უუნარობა

- ხანგრძლივი დროის - (50-60 დღის) განმავლობაში;
- გ) ფეხმძიმობა, თუ დოკუმენტურად დასტურდება ფეხმძიმობის პათოლოგიური მიმდინარეობა ან/და ახალშობილის მოვლა;
- დ) საგანმანათლებლო პროგრამის ორჯერ მოსმენა და შეუფასებლობა/შესაბამისი კრედიტების ვერ მიღება;
- ე) ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამის საფასურის გადაუხდელობა;
- ვ) სკოლა-პანსიონთან კონტაქტის ხანგრძლივი დროით, 3 და მეტი თვის განმავლობაში, გაწყვეტა;
- ზ) სასწავლო პროცესის არასაპატიო მიზეზით 7 კვირის გაცდენა;
- თ) აკადემიური შვებულება, რომელიც სტუდენტს შეიძლება მიეცეს
- სავალდებულო სამსახურში გაწვევის გამო;
 - ოჯახის ავადმყოფ წევრებზე მეურვეობის გამო;
 - უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების გამო;
 - სხვა საპატიო მიზეზის გამო, სტუდენტის განცხადების საფუძველზე, მიღებული დადებითი გადაწყვეტილება დასტურდება დირექტორის რეზოლუციით;
3. სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, რომელიც დასტურდება სკოლა-პანსიონის დირექტორის ბრძანებით, სტუდენტი სწავლას განაგრძობს იმ პერიოდიდან, რა დროიდანაც შეუჩერდა სტატუსი.

მუხლი 9. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:
 - ა) საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება შესაბამის საფეხურზე;
 - ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;
 - გ) პირადი განცხადება;
 - დ) კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის;
 - ე) გარდაცვალება.
2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგი დგება ბრძანების გამოცემიდან 6 თვის შემდეგ. ამ პერიოდში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით გარდა იმ შემთხვევისა, თუ სტატუსის შეწყვეტის საფუძველი არათავსებადია მიმდები პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებასთან;
3. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის კანდიდატს ეძლევა სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის შესაძლებლობა.

მუხლი 10. სტუდენტის სტატუსის აღდგენა

1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მისი ხელახალი აღდგენა (მოპოვება) დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით;

2. წინამდებარე მარეგულირებელი წესის შესაბამისად ამორიცხვის შემთხვევაში, სტუდენტის აღდგენის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სკოლა-პანსიონის დირექტორი, ხარვეზის აღმოფხვრის ვალდებულებით;
3. სტუდენტის სტატუსი შეიძლება აღუდგეს გადაყვანის წესით სტუდენტის ჩარიცხვისათვის დადგენილი რეგულაციის შესაბამისად, აღდგენის შემთხვევაში ამორიცხვამდე ათვისებული პროგრამის აკადემიური ცოდნის საფუძველზე.

მუხლი 11. სტუდენტთა მობილობა

1. სტუდენტთა მობილობა ხორციელდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან შეთანხმებით ან/და სკოლა-პანსიონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი ანალოგ დაწესებულებასთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე;
2. მობილობის უფლება აქვს სტუდენტს, რომელიც არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი.

მუხლი 12. მობილობის უფლების შეზღუდვა

1. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ერთი საფეხურის ფარგლებში;
2. მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის საფეხურზე სწავლის 6 კვირის შემდეგ, სწავლის ამ პერიოდში არ მოიაზრება ის დრო, რომლის განმავლობაშიც პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი;
3. დაუშვებელია არათავსებადი, შეუსაბამო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საფეხურზე მობილობის განხორციელება.

მუხლი 13. მობილობის პროცესის ვადები და ადგილების გადანაწილება პროგრამის შესაბამისად

1. სკოლა-პანსიონში მობილობის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამების დასრულებამდე 6 კვირით ადრე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილი წესით;
2. მობილობის მსურველთა რეგისტრაცია ხორციელდება სკოლა-პანსიონის ვებ გვერდზე;
3. სკოლა-პანსიონი მის მიერ მობილობისათვის დარეგისტრირებული ადგილების რაოდენობის ფარგლებში ახდენს გადანაწილებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლებზეც იგი გეგმავს მობილობით სტუდენტთა მიღებას;
4. ადგილების გადანაწილების შესახებ სკოლა-პანსიონი ინფორმაციას წარუდგენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს და განათავსებს ვებ გვერდზე.

მუხლი 14. მობილობის მსურველთა რეგისტრაციის პროცედურა უფლების მოპოვება და რანჟირება

1. მობილობის მსურველად რეგისტრაციისათვის სტუდენტი ვალდებულია პირადი განაცხადი დაარეგისტრიროს სკოლა-პანსიონის შესაბამის სამსახურში (კანცელრიაში) ელექტრონული მისამართის მითითებით;
2. რეგისტრაცია ხორციელდება სტუდენტის თერთმეტნიშნა პირადი ნომრით, რის შედეგადაც ელექტრონულ ფოსტაზე იქმნება მობილობის მსურველის ინდივიდუალური გვერდი და აისახება მის მიერ არჩეული პროგრამის შესახებ მონაცემები;
3. იმ პირთა სია, რომლებმაც გამოთქვეს ჩარიცხვის სურვილი სკოლა-პანსიონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე, ქვეყნდება დაწესებულების ვებ გვერდზე;
4. მობილობის მსურველი, რომელიც დადგენილ ვადაში არ შეიტანს განცხადებას ჩარიცხვის შესახებ ეზღუდება მობილობის ჩარიცხვის უფლება;
5. სკოლა-პანსიონი ახდენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობას და აღიარებას, რის შესახებაც დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს.

მუხლი 15. სტუდენტის აღდგენის წესით ჩარიცხვა

1. აღდგენის წესით სკოლა-პანსიონში ჩარიცხვის უფლება აქვთ იმ პირებს, რომლებსაც შეუჩერდათ სტატუსი წინამდებარე მარეგულირებელი წესის საფუძველზე;
2. აღდგენის წესით ჩარიცხვისათვის პირმა უნდა გაიაროს რეგისტრაცია სკოლა-პანსიონში დადგენილი წესით;
3. სტუდენტის აღდგენის წესით ჩარიცხვა ხორციელდება სკოლა-პანსიონის დირექტორის სამართლებრივი აქტით (ბრძანებით).

მუხლი 16. სკოლა-პანსიონის სტუდენტის შიდა მობილობა

1. სტუდენტს უფლება აქვს სკოლა-პანსიონის ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან მეორე მონათესავე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთი საფეხურის ფარგლებში განაგრძოს სწავლა (შიდა მობილობა);
2. შიდა მობილობის წინაპირობაა სტუდენტის მიერ გავლილი პროგრამის შესაბამისობის დადგენა ახალ საგანმანათლებლო პროგრამასთან, ძირითადი სპეციალობის შეცვლის შემთხვევაში, გავლილი საგნები (მოდულები) ჩათვლება დამატებით პროფესიულ საგანმანათლებლო სპეციალობის პროგრამაში;
3. შიდა მობილობისათვის სტუდენტი წერილობითი განაცხადით მიმართავს სკოლა-პანსიონის პროფესიული განათლების მენეჯერს, რომლის საფუძველზეც ხდება გავლილი პროგრამის შედარება, შესაბამისობის დადგენის მიზნით, ახალ საგანმანათლებლო პროგრამასთან. გადაყვანილ სტუდენტს უწესდება სწავლის საფასური დადგენილი ოდენობით;

4. პროგრამული თავსებადობისათვის თუ სტუდენტს ასათვისებელი აქვს კრედიტების ის რაოდენობა რომელიც საჭიროებს დამატებით კრედიტებს, მისი საფასური გაუთანაბრდება წინა პროგრამაზე მიღებული სწავლის საფასურს;
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობის შესახებ პროფესიული განათლების მენეჯერის დასკვნით დგინდება რა ეტაპიდან არის შესაძლებელი სტუდენტის სწავლის გაგრძელება, რაზეც გამოიცემა დირექტორის სამართლებრივი აქტი/ბრძანება.

მუხლი 17. საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა/განათლების აღიარება

1. სკოლა-პანსიონი ადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებთან მობილობის მსურველთა მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში მიღებული შედეგების შესაბამისობას, თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას კრედიტების აღიარების შესახებ;
2. აღიარებას ექვემდებარება სკოლა-პანსიონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით;
3. შინაარსობრივი შესწავლის შედეგად დგინდება სტუდენტის მიერ გავლილი და სკოლა-პანსიონის პროგრამით გათვალისწინებული სწავლების საფეხურების შესაბამისობა, სახელწოდებაში არსებული სახესხვაობების მიუხედავად;
4. დაუშვებელია სხვა პროგრამის მიზნებისათვის იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების აღიარება, რომლის საფუძველზეც მინიჭებულ იქნა კვალიფიკაცია;
5. სკოლა-პანსიონი უფლებამოსილია გასაუბრების ან/და ტესტირების საფუძველზე დაადგინოს მობილობის მსურველის ცოდნისა და უნარ-ჩვევების შესაბამისობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან;
6. შესაბამისობის არ არსებობა პირის მობილობით ჩარიცხვაზე არის უარის თქმის საფუძველი;
7. გადაწყვეტილება მიიღება წერილობით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით/ბრძანებით.

მუხლი 18. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში სკოლა-პანსიონი სტუდენტს სთავაზობს სხვა პროგრამით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას;
2. ჯგუფში 5 ან/და ნაკლები სტუდენტის არსებობის შემთხვევაში განიხილება ჯგუფის გაუქმების საკითხი, გადაწყვეტილება მიიღება პროგრამის სპეციფიკისა და ფინანსური საკითხების გათვალისწინებით;

3. ჯგუფის გაუქმების გამო, სხვა სპეციალობაზე გადასული სტუდენტი თავისუფლდება პროგრამული თავსებადობის დასკვნის მიხედვით განსაზღვრული დამატებითი კრედიტების სწავლის საფასურისაგან;
4. იმ შემთხვევაში თუ სკოლა-პანსიონში არ ხორციელდება გაუქმებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, სკოლა-პანსიონი აფორმებს მემორანდუმს სხვა ავტორიზებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან სტუდენტის მიერ გავლილი პროგრამის აღიარებასთან დაკავშირებით, გადაწყვეტილების შესახებ აცნობებს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

მუხლი 19. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში სკოლა-პანსიონი სტუდენტს სთავაზობს ინდივიდუალურ სასწავლო პროგრამას, რითაც უზრუნველყოფილი იქნება იმ პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, რისი მიღწევაც შესაძლებელი იქნებოდა იმ სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ, რომელზეც იყო ჩარიცხული სტუდენტი;
2. ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შემუშავება ხორციელდება სტუდენტის მონაწილეობით და გადაყვანა ხდება მისი თანხმობის საფუძველზე, სტუდენტის უფლებების დაცვის მიზნით.

მუხლი 20. რეგისტრაცია

1. სკოლა-პანსიონში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროგრამებზე წინაპირობაა საბაზო ან/და სრული ზოგადი განათლება, რაც დასტურდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით გაცემული შესაბამისი განათლები ატესტატით;
2. რეგისტრაციის ვადები რეგულირდება სკოლა-პანსიონის დირექტორის ბრძანებით, რომელიც გამოიცემა სწავლის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ;
3. რეგისტრაციის დროს სტუდენტი ეცნობა სწავლის შედეგებს – „სტუდენტის პერსონალურ ბარათში“ მის მიერ ჩაბარებული საგნების სიის მიხედვით მიღებული შეფასებების მითითებით და დაგროვილი კრედიტების რაოდენობით;
4. ინფორმაციასთან დაკავშირებით პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში, საკითხი ზუსტდება შეფასების უწყისების საფუძველზე;
5. სტუდენტი აფიქსირებს არჩევით საგანს;
6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია კონსულტაცია გაუწიოს სტუდენტს;
7. რეგისტრაცია გაუვლელ სტუდენტებს ეზღუდებათ სწავლის გაგრძელება;

- რეგისტრირებულ სტუდენტთა დაფიქსირება/უფლების მინიჭება ფორმდება სკოლა-პანსიონის დირექტორის ბრძანებით.

მუხლი 21. სტუდენტის უფლება-მოვალეობანი, დისციპლინური პასუხისმგებლობა

- სკოლა-პანსიონის სტუდენტის უფლება-მოვალეობანი, დისციპლინური პასუხისმგებლობა განსაზღვრულია სკოლა-პანსიონის წინამდებარე მარეგულირებელი წესით, სკოლა-პანსიონის შინაგანაწესით და ეთიკის კოდექსით;
- სტუდენტი ვალდებულია გაეცნოს შინაგანაწესს, ეთიკის კოდექსს, წინამდებარე დებულებას და დაიცვას იგი.

თავი III. სკოლა-პანსიონის დაფინანსების წყაროები

მუხლი 22. სკოლა-პანსიონიში საგანმანათლებლო პროგრამის საფასური და დაფინანსება

- სკოლა-პანსიონის დაფინანსების წყაროებია:
 - საგანმანათლებლო პროგრამის საფასური, რომლის დაფარვაც ხორციელდება სტუდენტის მშობლის ან/და კანონიერი წარმომადგენლის მიერ;
 - საგანმანათლებლო პროგრამის საფასურის გადახდა ხორციელდება ეტაპობრივად, ხელშეკრულების შესაბამისად;
 - შეღვათიანი ტარიფის არსებობის შემთხვევაში სტუდენტს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ვადებში უნარჩუნდება ხელშეკრულებით დადგენილი საფასურის ოდენობა;
 - სტატუსშეჩერებული სტუდენტის აღდგენის შემთხვევაში სწავლის საფასური განისაზღვრება დირექტორის მიერ;
 - სტუდენტს უფლება აქვს სასწავლო პროცესის დაწყებიდან არაუმეტეს 2 კვირის ვადაში მოითხოვოს რეგისტრაციის გაუქმება, აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ იგი კარგავს გადახდილი თანხის დაბრუნების უფლებას;

მუხლი 23. სასწავლო პროგრამის დამატებითი გავლა

- სტუდენტს, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადებში ვერ მოიპოვა შესაბამისი კრედიტი, უფლება ეძლევა თვითდაფინანსების გზით გაიაროს დამატებით საგანმანათლებლო პროგრამა;
- სტუდენტს, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის დამატებით გავლის შემდეგაც ვერ შეძლებს საჭირო კრედიტების დაგროვებას, უწყდება სტატუსი და იძენს „მოისმინას“ სტატუსს, რომელიც დასტურდება სკოლა-პანსიონის მიერ გაცემული ცნობით.

მუხლი 24. გამოცდების ჩატარების წესი

- სკოლა-პანსიონში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მესამე საფეხურზე გათვალისწინებულია შუალედური და დასკვნითი გამოცდები;
- დასკვნით გამოცდაზე არ დაიშვება სტუდენტი, რომელსაც არ აქვს ჩაბარებული შუალედური გამოცდა;

3. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება არანაკლებ 51 ქულა;
4. სტუდენტის შეუფასებლობის საფუძველია:
 - ა) დანიშნულ გამოცდაზე გამოუცხადებლობა არა საპატიო მიზეზით ან/და გამოცხადება და გამოცდის მსვლელობისას აუდიტორიის დატოვება;
 - ბ) შეფასების მიღება გამოცდაზე სხვადასხვა ხერხებით;
 - გ) გამოცდაზე შეფასების კომპონენტების შედეგად დადგენილი 50 და ნაკლები ქულის მიღება.
5. დანიშნული გამოცდის საპატიო მიზეზით გადავადება ან/და გამოცდაზე უარის თქმა შესაძლებელია სტუდენტის წერილობითი განცხადების საფუძველზე, საპატიო მიზეზის მითითებით და სათანადო დასაბუთებით, რაც დასტურდება სკოლა-პანსიონის დირექტორის რეზოლუციით;
6. 41-დან 50 ქულამდე შეფასების შემთხვევაში სტუდენტს კიდევ ერთხელ ეძლევა დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება სასწავლო პროგრამის განმეორებით მოსმენის გარეშე;
7. სტუდენტი ვალდებულია განმეორებით მოისმინოს საგანმანათლებლო პროგრამა თუ მიღებულ ქულათა ჯამი 41 ქულაზე ნაკლებია;
8. სტუდენტი გამოცდაზე განმეორებით დაიშვება დამატებით გამოცდისთვის სკოლა-პანსიონის მიერ დადგენილ ვადებში;
9. ძირითად და დამატებით გამოცდებზე გამოუცხადებლობის ან/და უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, სტუდენტისათვის განმეორებითი გამოცდის დანიშვნა ინდივიდუალური წესით დაუშვებელია;
10. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს ერთსა და იმავე საფეხურის სასწავლო კურსის პერიოდში, დასკვნით და დამატებით გამოცდებს შორის არანაკლებ 10 დღიანი შუალედის გათვალისწინებით.

მუხლი 25. მინიჭებული პროფესიული კვალიფიკაციები, დიპლომი

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საფეხურის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი სპეციალობის პროფესიული კვალიფიკაცია;
2. სპეციალობის მიხედვით კვალიფიკაციას ანიჭებს პროფესიული საბჭო, რის შესახებაც გამოიცემა სკოლა-პანსიონის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებლივი აქტი და დასტურდება სკოლა-პანსიონის ბეჭდით;
3. კურსდამთავრებულზე გაიცემა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების დიპლომი შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის მითითებით, რომელსაც ხელს აწერს სკოლა-პანსიონის დირექტორი და დამოწმებულია ბეჭდით;
4. დიპლომის ფორმატის შემუშავება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

„ვამტკიცებ“

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა
კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის
სკოლა-პანსიონის დირექტორი:
ბრძანება №138/2; 30 სექტემბერი, 2015 წელი

**ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა კეთილმსახური მეფე თამარის
სახელობის სკოლა-პანსიონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის
სასწავლო პროცესის
მარეგულირებელი წესი**

(პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის,
საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების, მობილობისა და
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის/აღიარების წესები)

თბილისი
2015 წელი